საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 8880/03 **4 სექტემბერი 2025 წ.**

ხარვეზის დადგენა

იონა ქობულია,
მის.: კანდელაკის ქ. N7, ბ. 35, 0160,
თბილისი, საქართველო

ბატონო იონა,

2025 წლის 01 სექტემბრის თქვენი R 14756-3/2025 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშანზე „ფარმსახლი PHARMHOUSE" (რეგ. N25448) უფლებების გადაცემის დაფიქსირებას საქპატენტის სასაქონლო ნიშნების რეესტრში (შემდგომ - რეესტრი), გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე". „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად - „რეესტრში შეიტანება ასევე შემდეგი სახის მონაცემები: სასაქონლო ნიშნის მფლობელის სახელი და გვარი/სახელწოდება და იურიდიული მისამართი".

ვინაიდან, წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართულ, სასაქონლო ნიშანზე „ფარმსახლი PHARMHOUSE" (რეგ. N25448) უფლებების გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტში, არ არის მითითებული უფლებების მიმღების იურიდიული მისამართი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, წინამდებარე შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოთ სათანადო წესით შედგენილი, სრულყოფილი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2025 წლის 01 სექტემბრის თქვენი R 14756-3/2025 განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

ლევან პერტენავა